საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2010-03
11/10/2022

2022-2023 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის ჯილდოს დაწესების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი ,,თ" ქვეპუნქტის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ვახტანგ ბალავაძის 2022 წლის 30 სექტემბრის N14677-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაზე 2022 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული შიდა კონკურსის პირობებს, დაწესდეს ჯილდო სმიტონის სახელობის საგანმანათლებლო ფონდიდან შემდეგნაირად:

ა) 100%-იანი სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტებს ერთჯერადი ჯილდოს სახით გადაეცეს 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი;

ბ) 70%-იანი და 50%-იანი სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტებს ჯილდოს სახით, ნაწილობრივ დაუფინანსდეთ სემესტრის სწავლის საფასური იმ თანხის ოდენობით, რომელიც მათ მიერ მოპოვებული სახელმწიფო გრანტისა და სწავლის დაფინანსების სხვა წყაროს მიღმა დარჩებათ გადასახდელი;

გ) იმ სტუდენტებს, რომლებსაც არა აქვთ სახელმწიფო გრანტი, ჯილდოს სახით დაუფინანსდეთ სემესტრის სწავლის საფასური იმ თანხის ოდენობით, რომელიც მათ მიერ სწავლის დაფინანსების მიზნით მოპოვებული ნებისმიერი წყაროს მიღმა დარჩებათ გადასახდელი;

დ) „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯილდოს ჩარიცხვა მოხდეს სტუდენტის პირად ანგარიშზე;

ე) „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ჯილდო განკუთვნილია სწავლის საფასურის სტუდენტის წილი ვალდებულების დასაფარად და არ ექვემდებარება სტუდენტის პირად ანგარიშზე ჩარიცხვას;

ვ) სმიტონის სახელობის საგანმანათლებლო ფონდიდან მოპოვებული ჯილდო სტუდენტს შეუნარჩუნდება რვა აქტიური სემესტრის განმავლობაში, თუ თითოეული სემესტრის საშუალო ქულა იქნება 81 და/ან მეტი;

ზ) სტუდენტი, რომლის აკადემიური მოსწრება იქნება 81 ქულაზე ნაკლები, აგრეთვე სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, დაკარგავს ჯილდოს.

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელ ფეისბუქზე განთავსება.

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, იურიდიულ სამსახურს, რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი